ტექნიკური მახასიათებლები

1. **მონეტების სათვლელი მანქანა – 35 ცალი**

მოთხოვნები:
- სასურველი მოდელი - Scan coin 303;
- თვლის სიჩქარე მინიმუმ 1800 მონ/წთ;
- მიმწოდებელი მოწყობილობა უნდა იტევდეს მინიმუმ 1000 მონეტას;
- მიმღები მოწყობილობა უნდა შედგებოდეს ნამდვილი და საეჭვო კატეგორიის ჯიბეებისაგან;
- თვლა უნდა ხორციელდებოდეს ერთი ნომინალის არჩევით მექანიკური გადასართავების მეშვეობით;
- თვლის ელექტრონული სისტემა არანაკლებ 6 თანრიგიანი ინდიკატორით;
- წინასწარ დაპროგრამებულ რაოდენობაზე ავტომატური გაჩერება;
- კვება: ერთფაზიანი ძაბვა 220–240 ვოლტი +–10%. სიხშირე 50 ჰერცი +– 5%.

გარანტიები:
- საგარანტიო პერიოდი არანაკლებ 12 თვისა;
- საგარანტიო პერიოდის განმავლობაში სათადარიგო და ადვილად ცვეთადი ნაწილებით უფასო მომარაგება;
- მანქანების სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება განთავსების ადგილზე;
- 5 წლის განმავლობაში სათადარიგო ნაწილებით მომარაგება თითქმის უცვლელ (სტაბილურ) ფასებში.

2. **ფულის სათვლელი აპარატი - 100 ცალი**

მოთხოვნები:
- სასურველი მოდელი - EB 300, MSB 30 ან Magner 35;

გარანტიები:
- საგარანტიო პერიოდი არანაკლებ 12 თვისა;
- საგარანტიო პერიოდის განმავლობაში სათადარიგო და ადვილად ცვეთადი ნაწილებით უფასო მომარაგება;
- მანქანების სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება განთავსების ადგილზე;
- 5 წლის განმავლობაში სათადარიგო ნაწილებით მომარაგება თითქმის უცვლელ (სტაბილურ) ფასებში.

დამატებითი მოთხოვნები:

- წარმოდგენილი ფასები უნდა შეიცავდეს ყველა სახის გადასახადს.
- მომწოდებელმა უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტაცია PDF ან Word–ის ფორმატში:
  1. საჯარო რეესტრიდან განახლებული სამეწარმეო ამონაწერი;
  2. კომპანიის სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  3. კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა (გამოცდილება, კლიენტების სია), დაარსების თარიღი, რეკომენდაციები, ა.შ.);

- მომწოდებელმა ვებ-გვერდზე უნდა ატვირთოს დეტალური შეთავაზება (მათ შორის პროდუქტის ნიმუშების ამსახველი სურათები PDF ან Word ფორმატში).
- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ფასები ჩაწეროთ შესაბამის გრაფაში, დეტალური აღწერის მიხედვით: პუნქტი №1 – მიეთითება მონეტების სათვლელი მანქანის ღირებულება, პუნქტი №2 - ფულის სათვლელი აპარატის;
- გთხოვთ ფასები მიუთითოთ შესაბამისი პუნქტის გასწვრივ მეასედებით, მაგალითად: 0.05 (ნოლი ლარი და ხუთი თეთრი); 0.35 (ნოლი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი); 1.00 (ერთი ლარი); 1.45 (ერთი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) და ა.შ

დამატებითი ინფორმაცია:

- ტენდერის ვადა განისაზღვრება 2017 წლის 23 იანვრიდან - 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
- ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება ერთჯერადი ხელშეკრულება.
- კონკრეტული ტენდერის შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობის დროს მიმწოდებელს შეუძლია კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღოს სასურველი ინფორმაცია კონკრეტული ტენდერის პანელში "შეკითხვები შემსყიდველს".
- განთავსებული შემოთავაზებები მიმწოდებლებისთვის გახდება ანონიმური ტენდერის დასრულების დღეს (14:00 საათიდან).

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ლადო სიჭინავას - 599 74 00 41